

შპს „ზიმ ინტეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	11
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13
1. ზოგადი ინფორმაცია	13
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	13
3. CRITICAL ACCOUNTING ESTIMATES, AND JUDGMENTS IN APPLYING ACCOUNTING POLICIES	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
4. NEW AND AMENDED STANDARDS WHICH BECAME EFFECTIVE FROM 1 JANUARY 2023 ..	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
5. NEW ACCOUNTING PRONOUNCEMENT WHICH ARE EFFECTIVE AFTER 31 DECEMBER 2023	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
6. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	23
7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	23
8. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	23
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24
10. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება	24
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
12. შემოსავალი	25
13. გაწეული მომსახურების ღირებულება	25
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	25
15. ფინანსური შემოსავალი (ნეტო)	25
16. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები	26
17. ფინანსური რისკების მართვა	26
18. FAIR VALUE OF FINANCIAL ASSETS AND LIABILITIES	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
19. PRESENTATION OF FINANCIAL INSTRUMENTS BY MEASUREMENT CATEGORY	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	მენიშნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		52,462	40,887
არამატერიალური აქტივები		77,536	104,357
აქტივის გამოყენების უფლება	Error! Reference source not found.	3,289	1,788
სულ გრძელვადიანი აქტივები		133,287	147,032
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	Error! Reference source not found.	660,996	820,040
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	Error! Reference source not found.	6,566	4,336
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	Error! Reference source not found.	4,138,311	8,553,091
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,805,873	9,377,467
სულ აქტივები		4,939,160	9,524,499
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	Error! Reference source not found.	166,077	166,077
გაუნაწილებელი მოგება		3,222,015	4,327,865
სულ კაპიტალი		3,388,092	4,493,942
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	Error! Reference source not found.	61,049	87,795
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		61,049	87,795
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	Error! Reference source not found.	1,463,604	4,919,876

შპს „ზიმ ინტეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი ნაწილი	Error! Reference source not found.	26,415	22,886
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,490,019	4,942,762
სულ ვალდებულებები		1,551,068	5,030,557
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,939,160	9,524,499

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 13 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კერვალიშვილი,
 გენერალური დირექტორი

ნირ ავნი,
 სამეთვალყურეოსაბჭოს
 თავმჯდომარე

მიხეილ ჯავახიშვილი,
 ფინანსური დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	დასრულებული წლისთვის 31-Dec-23	დასრულებული წლისთვის 31-Dec-22
შემოსავალი	Error! Referen ce source not found.	17,770,647	9,143,100
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	Error! Referen ce source not found.	(8,250,639)	(4,120,667)
საერთო მოგება		9,520,008	5,022,433
	Error! Referen ce source not found.	(831,668)	(828,369)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი			
საოპერაციო მოგება		8,688,340	4,194,064
ფინანსური შემოსავალი, წმინდა	15	349,485	88,714
მოგება კურსთა შორისი სხვაობიდან, წმინდა		8,624	(85,987)
სხვა ზარალი		(9,789)	-
მოგება დაბეგვრამდე		9,036,660	4,196,791
მოგების გადასახადის ხარჯი		(747,511)	(168,966)
მიმდინარე წლის მოგება		8,289,149	4,027,825
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება		8,289,149	4,027,825

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 13 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კერვალიშვილი,
გენერალური დირექტორი

ნირ ავნი,
სამეთვალყურეოსაბჭოს
თავმჯდომარე

მიხეილ ჯავახიშვილი,
ფინანსური დირექტორი

შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	დასრულებული წლისთვის 31-Dec-23	დასრულებული წლისთვის 31-Dec-22
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	9,036,660	4,196,791
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	34,439	21,089
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოქმნილი ზარალი, წმინდა	(8,624)	85,987
საპროცენტო შემოსავალი, წმინდა	(349,485)	(88,714)
სხვა ზარალი (წმინდა)	9,789	-
ფინანსური აქტივების გაუფასურების ცვლილება	12,257	2,718
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაზე საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე	8,735,036	4,217,871
კლება/ (ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	214,605	(492,052)
საგადასახადო აქტივები	2,305	12,950
გადახდილი ავანსები	(4,535)	-
ზრდა/ (კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,460,430)	4,473,512
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	5,486,981	8,212,281
გადახდილი მოგების გადასახადი	(747,511)	(168,966)
საიჯარო ვალდებულების პროცენტის დაფარვა	(15,501)	(10,148)
მიღებული პროცენტი	372,843	98,862
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	5,096,812	8,132,029
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(32,198)	(32,955)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(32,198)	(32,955)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:		
გადახდილი დივიდენდები	(9,395,000)	(2,039,739)
საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა	(22,990)	(18,237)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(9,417,990)	(2,057,976)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(4,353,376)	6,041,098
ფულის და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში	8,553,091	2,860,670
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	(61,404)	(348,677)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის	4,138,311	8,553,091

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 13 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კერვალიშვილი,
გენერალური დირექტორი

ნინო ავნი,
სამეთვალყურეოსაბჭოს
თავმჯდომარე

მიხეილ ჯავახიშვილი,
ფინანსური დირექტორი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	166,077	2,339,779	2,505,856
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება	-	4,027,825	4,027,825
გამოცხადებული დივიდენდი	-	(2,039,739)	(2,039,739)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	166,077	4,327,865	4,493,942
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	166,077	4,327,865	4,493,942
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	8,289,149	8,289,149
გამოცხადებული დივიდენდი	-	(9,394,999)	(9,394,999)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	166,077	3,222,015	3,388,092

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 13 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კერვალიშვილი,
 გენერალური დირექტორი

ნირ ავნი,
 სამეთვალყურეოსაბჭოს
 თავმჯდომარე

მიხეილ ჯავახიშვილი,
 ფინანსური დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“ (შემდგომში - კომპანია) დაარსდა 2007 წელს, საქართველოში, ქ. თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ტელეგრაფის ჩიხი #4. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 204536555. კომპანიის გენერალური დირექტორია ილია კაპანაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტვირთის გადაზიდვის მომსახურება საქართველოში და საქართველოს გარეთ, საზღვაო და სახმელეთო გზებით.

2023 და 2022 წლებში კომპანიას ჰქონდა 1 სათაო ოფისი ქ. თბილისში და 1 ფილიალი ქ. ფოთში.

დეტალური ინფორმაცია კომპანიის მფლობელების შესახებ მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა ოდენობა არის 11 და 12 ადამიანი, შესაბამისად.

შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“ არის შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის“ (შემდგომში - მშობელი კომპანია) აგენტი და მშობელი კომპანიისგან იღებს საკომისიო შემოსავლებს ტვირთის გადაზიდვის მომსახურებისთვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1. მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2.2. წარდგენის ვალუტა

ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

2.3. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

2.4. შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხენამდე.

2.5. ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ მენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე-2.30 მენიშვნა;
- ▶ სავაჭრო მოთხოვნები - მე-13 მენიშვნა;

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელმწიფოებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მამინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელმწიფოებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

2.6. ალიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) ალიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელმწიფოებო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის ალიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც ალიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.7. Financial liabilities - Initial recognition and measurement

2.8. Financial liabilities that the Company has, including loans received, trade and other payables, are initially recognized at fair value plus directly attributable transaction costs.

2.9. After initial recognition, these are measured at amortised cost using the EIR method. Gains and losses are recognised in profit or loss when the liabilities are derecognised as well as through the amortisation process.

2.10. A financial liability is derecognised when the obligation under the liability is discharged or cancelled or expires.

2.11. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთათვალი

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთათვალი მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს ალიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთათვალი ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით ან “ჩათვლილი ღირებულებით” ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების პირველადი გამოყენება შესაბამისად. ამ თარიღის შემდეგ შეძენილი ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელზეც დაკლებულია დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომელსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირცხვლია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა-დანადგარები	7
საოფისე აღჭურვილობა	3,4,5

2.13. არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი..

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 3, 5 წლის გაანგარიშებით.

2.14. გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

2.15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვა ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.16. საწესდებო კაპიტალი

The amount of Company's authorised Statutory capital is defined by the Company's Charter. The changes in the Company's Charter (including changes in Statutory capital, ownership, etc.) shall be made only based on the decision of the Company's shareholders. The authorised capital is recognised as Statutory capital in the equity of the Company upon shareholder's resolution.

2.17. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.18. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მთლიანად შეასრულეს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.19. სავაჭრო დებიტორული დავალიანება.

Trade receivables are amounts due from customers for services performed in the ordinary course of business. If collection is expected in one year or less (or in the normal operating cycle of the business if longer), they are classified as current assets. If not, they are presented as non-current assets. Trade receivables are recognised initially at fair value and subsequently measured at amortised cost using the effective interest method, less provision for impairment.

2.20. უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვა-ო-ბე-ბით განპირობებული შემოსულობა ან ზა-რა-ლი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება, როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი..

At 31 December 2023 the principal rate of exchange used for translating foreign currency balances was USD 1 = GEL 2.6894 and EUR 1 = GEL 2.9753 (2022: USD 1 = GEL 2.7020 and EUR 1 = GEL 2.8844).

2.21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.

2.22. დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. შუალედური და საბოლოო დივიდენდების დამტკიცება ხდება პარტნიორთა საერთო კრებაზე.

2.23. იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და

- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით.

აქტივის ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

2.24. შემოსავლის აღიარება

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომხმარებლებისთვის ტვირთის საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვის მომსახურების მიწოდებიდან. ასევე, კომპანია იღებს საკომისიო შემოსავალს მშობელი კომპანიისგან, როგორც აგენტის საკომისიო, ტვირთის გადაზიდვის ოპერაციების მომსახურებისას.

ამონაგები ტვირთის საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვის მომსახურებიდან აღიარდება კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც მომსახურება შესრულდება. ამონაგები სატერმინალო მომსახურებიდან და სახმელეთო გადაზიდვებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში, ხოლო დანარჩენი შემოსავლის სახეობები კი დროის გარკვეულ მომენტში.

კომპანიას არ გააჩნია ხელმოწერილი ხელშეკრულებები მომხმარებლებთან, მაგრამ ამის ნაცვლად ყველა სახის პირობას კლიენტებთან ათანხმებენ ინვოისების მეშვეობით. ინვოისები გამოიწერება ცალ-ცალკე ყველა შესრულებული სამუშაოსთვის და კომპანია მათ შესაბამისად აღიარებს ამონაგებს.

კონტროლის გადაცემის მომენტის გამოსავლენად, კომპანია იყენებს შემდეგ მსჯელობას: მას შემდეგ რაც მომხმარებელმა მიიღო მომსახურება, კომპანიას არ გააჩნია დამატებითი ვალდებულება, აქვს გადახდის მოთხოვნის უფლება და არ იტოვებს რაიმე არსებით რისკს.

კომპანია არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, რადგანაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები.

2.25. სახელფასო ხარჯები

ანაზღაურება, ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.26. Amendment of the financial statements after issue

Any changes to these financial statements after issue require approval of the Company's management who authorised these financial statements for issue.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

Allowance for doubtful debts. The Company regularly reviews its receivables to assess impairment. The Company uses its judgment to estimate the amount of any impairment loss. Management believes that allowance for uncollectable amounts presented in notes 7 is stated in accordance with IFRS .

ოჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები -

ოჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც ოჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება ოჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს კომპანიის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება ოჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ კომპანიის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს ოჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, კომპანია საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) ოჯარის გაგრძელების ან ოჯარის შეწყვეტის არჩევანის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სპეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში ოჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი ოჯარის ვადის განმავლობაში.

Going concern. Management prepared these financial statements on a going concern basis, which contemplates the realisation of assets and the satisfaction of liabilities in the normal course of business.

4. 2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შემავალი სტანდარტები და შესწორებები

2023 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, თუმცა მათ ძალაში შესვლას კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ფასს 17 “სადაზღვევო ხელშეკრულებები” (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვევლის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის

გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვევები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია. ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება“-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ცვლილება ბასს 12 - მოგების გადასახადები - გადავადებული გადასახადი რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ ოპერაციასთან დაკავშირებულ აქტივთან და ვალდებულებასთან. (ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ნაადრევი გამოყენება ნებადართულია). სტანდარტი განსაზღვრავს გარკვეულ დამატებით შეღავათებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

OECD Pillar Two Rules – (გამოქვეყნებისთანავე ძალაშია გარკვეული ახსნა განმარტებების წარდგენისაგან განთავისუფლების გარდა) შეეხება მულტინაციონალურ კომპანიების ეფექტური საგადასახადო განაკვეთის წარდგენას იურისდიქციების მიხედვით.

2023 წლის 30 ივნისს საბჭოს მიერ გამოცემულია გადაწყვეტილებები ქვემოთ მოცემულ საკითხებზე რომლებიც რელევანტურია 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებაში თუმცა მათ არ მოუხდენია კომპანიაზე რაიმე სახის გავლენა. ქვემოთ მოცემული გამოცემის თარიღები მიუთითებს საბჭოს (IASB) გადაწყვეტილების თარიღებს საბჭოს ვებ გვერდის მიხედვით:

გამოცემის თარიღი	საკითხი
2022 წლის ივლისი	დაბალი გამონაბოლქვის მქონე მანქანების ნეგატიური კრედიტი (ბასს 37)
2022 წლის ივლისი	ფინანსურ ვალდებულებად ან კაპიტალად კლასიფიკაცია სპეციალური შემსყიდველ კომპანიებისათვის (ბასს 32)
2022 წლის ივლისი	სადაზღვევო ზღვრების გადაცემა ჯგუფური ანუიტური კონტრაქტების მიხედვით (ფასს 17)
2022 წლის ოქტომბერი	სპეციალური შემსყიდველ კომპანიებისათვის (SPAC): გარანტიების აღრიცხვა შესყიდვისას
2022 წლის ოქტომბერი	მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის ნაპატიები საიჯარო გადახდები (ფასს 9 და ფასს 16)
2022 წლის ოქტომბერი	მულტისავალუტო ჯგუფების სადაზღვევო კონტრაქტები (ფასს 17 და ბასს 21)

გამოცემის თარიღი	საკითხი
2023 წლის აპრილი	იჯარის განმარტება - იჯარის ჩანაცვლების უფლება (ფასს 16)

5. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არც წინასწარ არის დანერგილი

კომპანიამ ვადადგე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებები შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან)
 ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს ვალდებულების ვადიანობის მიხედვით კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე მაშინ შესაბამისობა ახდენს მიმდინარე და გრძელვადიანი წარდგენის წარდგენის კლასიფიკაციაზე იმის მიუხედავად რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ 12 თვის პერიოდში მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა განმარტების წარდგენას. ახსნა განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;
- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებს და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს ოპციით აქვს უფლება დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიმუმები არსებობს თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღო ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვასა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილების განსაზღვრავ გამყიდველი მოიჯარე მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებით ინფორმაციის წარდგენა ინვესტორებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი რომლებზეც ფინანსურების უზრუნველყოფელმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახდელი თანხების ზღვარი და ვადიანობა რომლებიც დაკავშირებულია SFA - სთან, და შესაძარისი სავაჭრო ვალდებულება რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.

4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.
5. SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამის ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭოს ათავისუფლებს სუბიექტებს შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან პირველად დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

6. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანია ქირაობს ორ საოფისე ფართს - ქ. თბილისსა და ქ. ფოთში. საოფისე ფართების იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში და განსაზღვრულია ლარში. კომპანიამ იქირავა ახალი ოფისი თბილისში 2022 წლის შუა პერიოდში. იჯარის დარჩენილი ვადა არის 2-4.5 წელი. ზღვრული საპროცენტო განაკვეთი იჯარებისთვის არის წლიური 11.5%-15.6% და დამოკიდებული იჯარის ვადასა და ვალუტაზე.

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	22,612
დამატება	102,834
ცვეთა	(21,089)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	104,357
ცვეთა	(26,821)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77,536

საიჯარო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	Office
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	26,084
საპროცენტო ხარჯი	10,148
დამატება	102,834
იჯარის გადახდა	(28,385)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	110,681
საპროცენტო ხარჯი	15,501
იჯარის გადახდა	(38,718)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	87,464

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	683,987	830,774
საექვო ვალდებულებების რეზერვი	(22,991)	(10,734)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	660,996	820,040

გაუფასურების რეზერვის ზრდა

	31.12.2023	31.12.2022
1 იანვრის მდგომარეობით	10,734	8,016
ცვლილება წლის განმავლობაში	12,257	2,718
31 დეკემბრის მდგომარეობით	22,991	10,734

8. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

	31.12.2023	31.12.2022
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	4,535	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები	2,031	4,336

შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

Total prepayments and other current assets	6,566	4,336
---	--------------	--------------

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	2,197,541	3,040,736
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	1,940,770	5,377,255
შეზღუდული ფული *	-	135,100
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,138,311	8,553,091

*შეზღუდული ფული ოდენობით - 135,100 ლარი, წარმოადგენს დეკემბრის ბოლოს არსებულ გარანტიას სს „თიბისი ბანკისგან“, გადაზიდვისა და დაყოვნების საკომისიოების დაზღვევისთვის კომპანია შპს "ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის" სასარგებლოდ. გარანტიის მოქმედების ვადა არის 2023 წლის 26 ივლისი და 2022 წლის 26 ივლისი, შესაბამისად.

2023 და 2022 წლის მანძილზე, ბანკში მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებული თანხებიდან მიღებული საპროცენტო სარგებელი შეადგენს 372,843 ლარი და 98,862 ლარს, შესაბამისად.

10. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 166,077 ლარს, შესაბამისად.

კომპანიას ჰყავს შემდეგი მფლობელები:

	31.12.2023 %	31.12.2022 %
შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“	51.00%	51.00%
შპს „პეის ჯორჯია“	49.00%	49.00%
	100.00%	100.00%

გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდი 2023 და 2022 წლებში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“	4,969,830	1,082,265
შპს „პეის ჯორჯია“	4,425,169	957,474
	9,394,999	2,039,739

2023 და 2022 წლებში გადახდილ დივიდენდებზე დარიცხული მოგების გადასახადის ხარჯი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით იყო 747,511 ლარი და 168,966 ლარი, შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კორპორატიული მოგების გადასახადის გადახდა გადავადდება წმინდა მოგების განაწილების თარიღამდე. კორპორატიული მოგების გადასახადის განაკვეთია 15%, ტექნიკურად, დაანგარიშების კუთხით, დასაბეგრ თანხას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. კორპორატიული მოგების გადასახადი გადაიხდება დივიდენდის გაცემის მომენტში, ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ (როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ) პირებზე.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
--	-------------------	-------------------

შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

სავაჭრო ვალდებულებები	1,378,632	4,917,220
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	84,972	2,656
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,463,604	4,919,876

12. შემოსავალი

	2023	2022
სატერმინალო მომსახურება	12,594,468	6,551,010
კონტეინერის შენახვა	1,306,313	292,216
აგენტის მომსახურების საფასური	1,145,392	944,484
Merchant haulage	1,038,024	392,393
დოკუმენტური მომსახურება	580,979	227,381
სახმელეთო გადაზიდვები	299,970	445,668
Empty container survey	265,234	66,287
International maritime dangerous goods	176,641	126,464
სხვა	363,626	97,197
სულ შემოსავალი	17,770,647	9,143,100

13. გაწეული მომსახურების ღირებულება

	2023	2022
ფოთის საზღვაო ნავსადგურის ხარჯები	5,991,169	2,515,655
სატერმინალო ხარჯები	2,004,529	1,228,905
სახმელეთო და სარკინიგზო გადაზიდვების ხარჯი	254,941	376,107
სულ გაწეული მომსახურების ღირებულება	8,250,639	4,120,667

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
პერსონალის ხარჯი	679,757	716,850
დაზღვევა	34,393	33,050
ცვეთა და ამორტიზაცია	34,439	21,089
აუდიტი და კონსულტაცია	22,697	25,337
ბანკის გადასახადი	1,958	3,821
სხვა	58,424	28,222
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	831,668	828,369

*2023 და 2022 წლების პერსონალის ხარჯის მოიცავს სერვის კონტრაქტით დაქირავებულ თანამშრომლებზე დარიცხულ და გადახდილ ანაზღაურებას 34,300 ლარით და 35,145 ლარით, შესაბამისად.

15. ფინანსური შემოსავალი (ნეტო)

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	372,843	98,862

საპროცენტო ხარჯი	(23,358)	(10,148)
სულ ფინანსური მოგება (ნეტო)	349,485	88,714

16. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღდება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შევითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შევითხვები, ახლა გაჩნდეს შევითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

Environmental matters. The enforcement of environmental regulation in Georgia is evolving and the enforcement posture of government authorities is continually being reconsidered. The Company periodically evaluates its obligations under environmental regulations. As obligations are determined, they are recognized immediately. Potential liabilities, which might arise as a result of changes in existing regulations, civil litigation or legislation, cannot be estimated but could be material. In the current enforcement climate under existing legislation, management believes that there are no significant liabilities for environmental damage.

17. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	660,996	820,040
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	4,138,311	8,553,091
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	4,799,307	9,373,131

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსის მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიას შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები სტანდარტით განსაზღვრული გამართლებული მიდგომა მოსაღდნოლი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. მცირე

შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

რაოდენობის დებიტორების გამო მოსალოდნელი ზარალი შეფასებული ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების 36 თვიან ისტორიულ მონაცემებს. დებიტორების გვარობიდან გამომდინარე ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე და საპროგნოზო და მაკროეკონომიკული ტენდენციებით რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ზოგადად დებიტორების ამოღებადობაზე. ამ პრინციპით გაანგარიშებული საექვო ვალების რეზერვი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის, 2022 წლის 31 დეკემბრისათვის და 2022 წლის 1 იანვრისათვის მოცემულია ქვემოთ ცხრილებში:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	Current	61- 120 days	121-180 days	181- 360 days	> 360	Total
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	658,668	4,164	8,169	3,610	9,376	683,987
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	4,138,311	-	-	-	-	4,138,311
სულ ფინანსური აქტივები	4,796,979	4,164	8,169	3,610	9,376	4,822,298
მოსალოდნელი ზარალის მაჩვენებელი	1%	10%	50%	70%	100%	
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება	6,587	417	4,084	2,527	9,376	22,991
სულ ფინანსური აქტივები	4,790,392	3,747	4,085	1,083	-	4,799,307

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	Current	61- 120 days	121- 180 days	181- 360 days	> 360	Total
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	817,645	10,472	2,075	368	214	830,774
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	8,553,091	-	-	-	-	8,553,091
სულ ფინანსური აქტივები	9,370,736	10,472	2,075	368	214	9,383,865
მოსალოდნელი ზარალის მაჩვენებელი	1%	10%	50%	70%	100%	
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება	8,177	1,047	1,038	258	214	10,734
სულ ფინანსური აქტივები	9,362,559	9,425	1,037	110	-	9,373,131

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2023			31.12.2022		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა ბალანსის პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა ბალანსის პოზიცია
ლარში	2,857,298	466,834	2,390,464	3,421,229	754,028	2,667,201

შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

აშშ დოლარი	1,942,009	999,262	942,747	5,891,076	4,276,529	1,614,547
ევრო	-	-	-	60,826	-	60,826
სულ	4,799,307	1,466,096	3,333,211	9,373,131	5,030,557	4,342,574

ზემოაღნიშნული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები აქციებსა და არაფულად აქტივებში არ ითვლება რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკად.

	31.12.2023		31.12.2022	
	Impact on profit or loss	Impact on equity	Impact on profit or loss	Impact on equity
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	188,549	-	322,909	-
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	(188,549)	-	(322,909)	-
ევროს გამყარება 20%-ით	-	-	12,165	-
ევროს დასუსტება 20%-ით	-	-	(12,165)	-

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიის მიერ მიღებული სესხები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანია. ამრიგად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი რისკი. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული და გაცემული სესხების პირობებში, კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლებადობით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკის მართვა. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა განრიგის მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას.

ლიკვიდურობის რისკის ცხრილი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია პირველადი ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულების ამოწურვამდე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ეყრდნობა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებულ ფულის ნაკადებს:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	Less than 1 year	From 1 years to 5 years	Total
Liabilities			
Trade and other payables	1,378,632	-	1,378,632
Lease liabilities	38,302	74,400	112,702
Total unamortized contractual cash flows	1,416,934	74,400	1,491,334

The maturity analysis of financial liabilities at 31 December 2022 is as follows:

	Less than 1 year	From 1 years to 5 years	Total
Liabilities			
Trade and other payables	4,919,876	-	4,919,876
Lease liabilities	22,712	128,296	151,008
Total unamortized contractual cash flows	4,942,588	128,296	5,070,884

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოდგენს:

ა) მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს დამფუძნებელ კომპანიასა და მის ფილიალებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი დამფუძნებლის საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი

გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი

დ) მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებული მხარეებთან არსებული ნაშთები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

კავშირის ფორმა		31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,325,358	4,612,512
- შპს „პეის ჯორჯია“	მფლობელი	193,163	228,534
- შპს „ზიმ ინთეგრეტიდ სერვისი“	მფლობელი	999,262	4,280,592
- შპს „პეის ტრანსი“	სხვა დაკავშირებული მხარე	15,222	31,009
- შპს „პეის საზღვაო სააგენტო“	სხვა დაკავშირებული მხარე	117,710	72,377
საიჯარო ვალდებულება		87,464	110,681
- შპს „პეის ჯორჯია“	მფლობელი	87,464	110,681

კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

		2023	2022
შემოსავალი		1,618,306	1,490,083
- შპს „პეის ჯორჯია“	მფლობელი	-	6,368
- შპს „ზიმ ინთეგრეტიდ სერვისი“	მფლობელი	1,618,306	1,483,014
გაწეული მომსახურება		8,114,629	3,201,669

შპს „ზიმ ინტეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

Expenses incurred as agent of Zim Integrated Shipping Services LLC (Neted sales revenue)		(6,496,323)	(1,719,356)
- შპს „პეის ტრანსი“	სხვა დაკავშირებული მხარე	-	701
მომსახურების თვითღირებულება (Includes Expenses incurred as agent of Zim Integrated Shipping Services LLC)		5,090,690	1,534,724
- შპს „პეის ჯორჯია“	მფლობელი	2,545,029	1,083,620
- შპს „პეის ტრანსი“	სხვა დაკავშირებული მხარე	188,975	239,268
- შპს „პეის საზღვაო სააგენტო“	სხვა დაკავშირებული მხარე	2,356,686	211,836
		2023	2022
უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო		281,139	291,332

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 13 თებერვალს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.



